

AI და საერთაშორისო პოლიტიკის მენეჯმენტი

DOI:10.36962/ECS107/3-5/2025-128

სოფიკო მიქაბაძე

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

E-mail: sopiko.mikabadze@atsu.edu.ge

თინათინ კოსტავა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი

E-mail: Tinatin.kostava@atsu.edu.ge

რეზიუმე

საერთაშორისო პოლიტიკის მენეჯმენტი თანამედროვე გლობალურ სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და კომპლექსურ საკითხს წარმოადგენს. მისი მიზანია, ქვეყნებს შორის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა. საერთაშორისო პოლიტიკის მენეჯმენტის ასპექტები და გამოწვევები ძირითადად კავშირშია ამ მიზნის მიღწევისა და მის ეფექტურად განხორციელებაში. იმ მრავალ გამოწვევას შორის, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკის მენეჯმენტის წინაშე დგას, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არის ტექნოლოგიური პროგრესი, როგორიცაა კიბერუსაფრთხოება და ხელოვნური ინტელექტი. ხელოვნური ინტელექტი ახალ პრობლემას უქმნის ქვეყნებს, ამიტომ აუცილებელია მათ ითანამშრომლონ ერთმანეთთან, რათა მართონ ეს ახალი ტექნოლოგიები და თავიდან აიცილონ მათი ბოროტად გამოყენება. საუკუნეების განმავლობაში ტექნოლოგიები გარდაქმნიდნენ საზოგადოებებსა და ეკონომიკას, ამან კი თავის მხრივ განსაზღვრა ძალთა სამხედრო ბალანსი. მაგალითად, აშშ-მ უკვე იცის, რომ ხელოვნური ინტელექტი განსაზღვრავს გეოპოლიტიკურ ძალას. მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ, 2018 წელს, აშშ-ს კონგრესმა აღნიშნა, რომ AI გამოყენებული იქნება ძალაუფლების დევნაში. გამომდინარე იქედან, რომ AI სისტემას აქვს კონკრეტულ (საჯარო) მონაცემებზე წვდომა, არის ეჭვი იმის შესახებ, რომ მან შეიძლება გააძლიეროს უკვე არსებული დისკრიმინაცია და მიდგომები კონკრეტულ ქვეყნებთან ან სიტუაციებთან მიმართებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნური ინტელექტი არ არის დაცული კიბერშეტევისაგან, ამიტომ არსებობს ზიანის მიყენების მიზნით მათი გატეხვისა და მანიპულირებისათვის გამოყენების რისკი. ეს განსაკუთრებით საფრთხილოა საერთაშორისო ურთიერთობისათვის, რადგან საფრთხე ექმნება სენსიტიური ინფორმაციასა და კრიტიკულ ინფრასტრუქტურას. საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნური ინტელექტის პოტენციური მრავალმხრივია და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან სფეროებს, როგორიცაა, უსაფრთხოება (მაგალითად: საზღვრის კვეთის გასაკონტროლებლად, სამხედრო ძალების გადაადგილების მონიტორინგისა და პოტენციური საფრთხის ამოსაცნობად), ვაჭრობა (სავაჭრო მონაცემების ანალიზისა და ქვეყნებს შორის შესაძლო ელექტრონული სავაჭრო შესაძლებლობების აღმოსაჩენად) და ჰუმანიტარული (ბუნებრივი კატასტროფების დროს დაზიანებული ადგილების, კონფლიქტების ზონების ან სხვა დონის კრიზისების აღმოსაფხვრელად).

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო პოლიტიკა, მენეჯმენტი, AI სისტემა, ხელოვნური ინტელექტი, უსაფრთხოება.

შესავალი

AI-ის განვითარება გრძელვადიანი კვლევებისა და ექსპერიმენტების ნაყოფია. მისი საწყისი ფაზა უკავშირდება მეოცე საუკუნის შუა ხანებს, როდესაც დაიწყო ალგორითმების შემუშავება და რომელთა საშუალებითაც შეეძლოთ მანქანებისთვის მიეცათ ადამიანების მსგავსი დავალებების შესრულების უნარი. ეს პროცესი დაჩქარდა, იმის შემდეგ, როცა სახელმწიფო და კერძო სექტორმა დაიწყო აღნიშნული კვლევების დაფინანსება. მისი შემდგომი პერიოდი უკავშირდება AI-ს კომერცი-
ალიზაციას და მისი მასობრივი გამოყენების გლობალურ ტენდენციებს, განსაკუთრებით ისეთ სფე-
როში, როგორიცაა, საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო პოლიტიკა, საერთაშორისო
მენეჯმენტი, გლობალური ეკონომიკა და ა.შ. ტექნოლოგიურმა განვითარებამ არსებითად გაზარდა
ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სერვისების შექმნისთვის საჭირო ტექნიკური თუ პროგ-
რამული საშუალებების ხელმისაწვდომობა. ხელოვნურ ინტელექტს გააჩნია დიდი პოტენციალი ბიზ-
ნესის თუ პოლიტიკური პროცესის მართვის ტრადიციული მიდგომების სასიკეთოდ გარდაქმნისა.
ხელოვნური ინტელექტი (AI) სწრაფად ვითარდება და მისი გავლენა საერთაშორისო პოლიტიკის მე-
ნეჯმენტზე სულ უფრო იზრდება. AI-ის ტექნოლოგიები, როგორიცაა მანქანური სწავლება, დიდი მო-
ნაცემების ანალიზი და პროგნოზირება, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გლობალური პოლიტიკის
ფორმირებაში და მართვაში. AI-ის ტექნოლოგიები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საერთაშორისო
პოლიტიკის მენეჯმენტზე. მათი გამოყენება საშუალებას აძლევს მთავრობებს მიიღონ უფრო ზუსტი
და დროული გადაწყვეტილებები, გააუმჯობესონ დიპლომატიური ურთიერთობები და უზრუნვე-
ლყონ გლობალური უსაფრთხოება. მიუხედავად გამოწვევებისა, AI-ის შესაძლებლობები საერთაშო-
რისო პოლიტიკის მენეჯმენტში შეუცვლელია და მისი როლი მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.

ძირითადი ტექსტი

სტატიის ძირითადი ნაწილი ეხება საერთაშორისო პოლიტიკის მენეჯმენტის მთავარ ასპექტებს
და მათში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლებლობებს. პირველი, *დიპლომატია და
მოლაპარაკებები*: დიპლომატია საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯმენტის მთავარი ინსტ-
რუმენტია. მოლაპარაკებები და შეთანხმებები ხელს უწყობს კონფლიქტების თავიდან აცილებას
და თანამშრომლობის გაძლიერებას. AI-ს შეუძლია გააუმჯობესოს დიპლომატიური ურთიერთო-
ბები სხვადასხვა ქვეყნებს შორის. AI-ის გამოყენებით შესაძლებელია კომუნიკაციის პროცესების
ავტომატიზაცია და გაუმჯობესება, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და კო-
ნფლიქტების თავიდან აცილებას.¹ მეორე, *საერთაშორისო ორგანიზაციები*: გაერო, ნატო, ევრო-
კავშირი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გლობალური
პოლიტიკის მენეჯმენტში. ისინი უზრუნველყოფენ პლატფორმას, სადაც ქვეყნები ერთად მუშაო-
ბენ საერთო მიზნების მისაღწევად. AI-ს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს გლობალური
უსაფრთხოების მართვაში. AI-ის ტექნოლოგიები გამოიყენება ტერორიზმის, კიბერუსაფრთხოე-
ბის და სხვა გლობალური საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლაში. AI-ს შეუძლია სწრაფად იდენტი-
ფიცირება და რეაგირება მოახდინოს პოტენციურ საფრთხეებზე, რაც უზრუნველყოფს გლო-
ბალური უსაფრთხოების გაუმჯობესებას. მესამე, *ეკონომიკური ურთიერთობები*: გლობალური
ეკონომიკა და ვაჭრობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე. ეკო-
ნომიკური სანქციები, ვაჭრობის შეთანხმებები და ფინანსური დახმარება ხშირად გამოიყენება
პოლიტიკურ მიზნებში. AI-ს შეუძლია გააუმჯობესოს ეკონომიკური ურთიერთობები ქვეყნებს
შორის. მაგალითად, AI-ის გამოყენებით შესაძლებელია სავაჭრო პროცესების ავტომატიზაცია
და ოპტიმიზაცია, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობის ზრდას და ეკონომიკური ურთიე-
რობების გაძლიერებას.² AI-ის ტექნოლოგიების განვითარება გლობალურ ინტერესებს იწვევს,
რადგან ქვეყნები ცდილობენ ამ სფეროში ლიდერობას და საკუთარი კონკურენტუნარიანობის

1 <https://btu.edu.ge/rogor-ighenebs-microsoft-i-ai-s-strategiul-marthvashi/>

2 <https://btu.edu.ge/ra-sheidzleba-ighos-teqnologiuri-ganvitharebis-limiti-ethikur-thu-ekonomikur-shedegebt-han-mimarthebashi/>

ამაღლებას. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთი ლიდერობენ AI-ის კვლევებსა და ინოვაციებში, რაც იწვევს გლობალურ კონკურენციას AI-ის სფეროში. ამასთან, ეთიკური და სამართლებრივი ნორმები მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმოადგენს, რადგან საჭიროა საერთაშორისო რეგულაციების შემუშავება, რათა AI-ის ტექნოლოგიების გამოყენება უსაფრთხო და პასუხისმგებლიანი იყოს. საერთაშორისო დონეზე სხვადასხვა ქვეყანა ცდილობს, შექმნას რეგულაციები და სტანდარტები AI-ის განვითარებისთვის. მაგალითად, ევროკავშირი აქტიურად მუშაობს AI-ის ეთიკური გამოყენების წესებზე, რათა დაიცვას მოქალაქეთა უფლებები და უზრუნველყოს მონაცემების კონფიდენციალურობა. AI-ის ტექნოლოგიების გლობალური გავრცელება ქმნის ახალ გამოწვევებსაც. მაგალითად, ქვეყნებმა უნდა მიიღონ რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს AI-ის გამოყენების ეთიკურობასა და უსაფრთხოებას, რათა თავიდან აიცილონ ნეგატიური ზეგავლენა საზოგადოებასა და საერთაშორისო ურთიერთობებზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჩავატარეთ კვლევა „ხელოვნური ინტელექტის პროგრამები და მისი გამოყენების სტატისტიკა“. საკვლევი თემის ობიექტს წარმოადგენდა, იმერეთის რეგიონის საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციები. კვლევის მიზანი არის გავარკვიოთ სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები რამდენად იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს და რა შედეგები მოაქვს საერთაშორისო პოლიტიკის მენეჯმენტისთვის AI პროგრამებს. საკვლევი თემის ამოცანებს წარმოადგენს, განვსაზღვროთ საზოგადოების ინფორმირებულობა ხელოვნური ინტელექტის პროგრამებთან დაკავშირებით; გავარკვიოთ, რამდენად იყენებენ მას პროფესიულ საქმიანობაში; რა საფრთხეებს ხედავენ და როგორ წამოუდგენიათ მისი მომავალი პერსპექტივა.

დასკვნა

გამოკითხულთა 63%-ს შედგენდნენ 25-34 წლამდე რესპონდენტები და მათი დასაქმების სფერო თითქმის თანაბრად გადანაწილდა. მათი უმარავლესობა თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში იყენებს AI პროგრამებს, კერძოდ, საგანმანათლებლო, მარკეტინგულ და ფინანსურ სფეროებში. მათი დამოკიდებულება აღნიშნულის მიმართ არის დადებითი და ისინი ფიქრობენ, რომ ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია მომავალში შესრულოს დადებითი როლი საზოგადოების განვითარებაში, გაუადვილოს ადამიანებს, როგორც ინფორმაციის მოპოვება, ასევე, მათი დამუშავება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით აუცილებელია საკანონმდებლო რეგულაციების შესაბამისი ცვლილება, რომელიც უზრუნველყოფს კონფიდენციალურობის, უსაფრთხოების, ეთიკური საკითხების დაცვას.

ხელოვნური ინტელექტის (AI) ტექნოლოგიები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საერთაშორისო პოლიტიკის მენეჯმენტში. მათი გამოყენება საშუალებას აძლევს მთავრობებს მიიღონ უფრო ზუსტი და დროული გადაწყვეტილებები, გააუმჯობესონ დიპლომატიური ურთიერთობები და უზრუნველყონ გლობალური უსაფრთხოება. მიუხედავად გამოწვევებისა, AI-ის შესაძლებლობები საერთაშორისო პოლიტიკის მენეჯმენტში შეუცვლელია და მისი როლი მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ იმერეთის რეგიონის საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად იყენებენ AI პროგრამებს თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში. მათი დამოკიდებულება AI-ის მიმართ არის დადებითი და ისინი ფიქრობენ, რომ ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია მომავალში შესრულოს დადებითი როლი საზოგადოების განვითარებაში. საერთაშორისო პოლიტიკის მენეჯმენტში AI-ის ტექნოლოგიების გამოყენება მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან სფეროებს, როგორიცაა უსაფრთხოება, ვაჭრობა და ჰუმანიტარული დახმარება. AI-ს შეუძლია გააუმჯობესოს დიპლომატიური ურთიერთობები, გააძლიეროს გლობალური უსაფრთხოება და ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობის ზრდას. ამასთან, აუცილებელია საერთაშორისო რეგულაციების შემუშავება, რათა AI-ის ტექნოლოგიების გამოყენება იყოს უსაფრთხო და პასუხისმგებლიანი.

საბოლოოდ, AI-ის ტექნოლოგიების განვითარება გლობალურ ინტერესებს იწვევს და ქვეყნები ცდილობენ ამ სფეროში ლიდერობას. ეთიკური და სამართლებრივი ნორმები მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმოადგენს, ამიტომ საჭიროა საერთაშორისო რეგულაციების შემუშავება, რათა AI-ის ტექნოლოგიების გამოყენება იყოს უსაფრთხო და პასუხისმგებლიანი.

REFERENCES:

1. "AI and International Politics" - Valerie M. Hudson, 2021
2. "The Routledge Handbook of Artificial Intelligence and International Relations" - Diego Brasioli, Laura Guercio, Giovanna Gnerre Landini, Andrea de Giorgio, 2025.
3. "Artificial Intelligence for Managers: Leverage the Power of AI to Transform Organizations & Re-shape Your Career" - Malay A. Upadhyay, 2023.
4. "AI Ethics in the Public, Private, and NGO Sectors: A Review of a Global Document Collection" - Daniel Schiff, Jason Borenstein, Justin Biddle, Kelly Laas, 2024.
5. "AI for Humanitarianism: Fostering Social Change Through Emerging Technologies" - Adeyemi Abel Ajibesin, Narasimha Rao Vajjhala, 2025.
6. "Artificial Intelligence and Digital Diplomacy: Challenges and Opportunities" - Fatima Roumate, 2023.
7. "AI and Legal Education: Ethical and Sustainable Approaches" - Anil Balan, 2025.

AI AND INTERNATIONAL POLICY MANAGEMENT**Sopiko Mikabadze**

Kutaisi, Akaki Tsereteli State University, Associate Professor
E-mail: sopiko.mikabadze@atsu.edu.ge

Tinatin kostava

Kutaisi, Akaki Tsereteli State University, Assistant Professor
E-mail: Tinatin.kostava@atsu.edu.ge

RESUME

International policy management is one of the most important and complex issues in the modern global world. Its goal is to ensure security and stability between countries. The aspects and outcomes of international policy management are mainly related to achieving this goal and its effective implementation. Among the many challenges facing international policy management, one of the most important is technological progress, such as cybersecurity and artificial intelligence. Artificial intelligence poses new problems for countries, which is why they need to cooperate with each other to manage these new technologies and prevent their misuse. For centuries, technologies have transformed societies and economies, and this, in turn, has determined the military balance of power. For example, the US already knows that artificial intelligence determines geopolitical power. As you know, back in 2018, the US Congress noted that AI will be used in the pursuit of power. Given that AI systems have access to specific (public) data, there is concern that they could reinforce existing discrimination and biases towards specific countries or situations. It should be noted that AI is not immune to cyberattacks, so there is a risk that it could be hacked and manipulated to cause harm. This is particularly worrisome in international relations, as it poses a threat to sensitive information and critical infrastructure.

Finally, it should be noted that the potential of artificial intelligence is multifaceted and includes such important areas as security (for example, to control border crossings, monitor the movement of military forces, and identify potential threats), trade (to analyze trade data and identify possible electronic trade opportunities between countries), and humanitarian (to eliminate areas damaged by natural disasters, conflict zones, or other levels of crises).

Keywords: international politics, management, AI system, artificial intelligence, security.